KA030852369008820

№ 07-18/7274 **24 / ნოემბერი / 2020 წ.**

დასკვნა

სახელი გვარი: **დარეჯან ხურციძე**			
პირადი ნომერი	**60001024136**	სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით სარეიტინგო ქულა	ინფორმაცია შშმ სტატუსის შესახებ
ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი			
ქ. ქუთაისი, ჭოხონელიძის ქ. N83		**არა აქვს**	**ინფორმაცია შშმ სტატუსის შესახებ უცნობია, აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა წერილობითი მიმართვა სოციალური მომსახურების სააგენტოს ისან–სამგორის რაიონულ ცენტრისადმი.**
ინფორმაცია პენსიის/სოციალური პაკეტის ან სხვა ფულადი გასაცემლის შესახებ		**დარეჯან ხურციძე 63 წლისაა და იღებს ასაკის პენსიას 220 ლარის ოდენობით.**	

სოციალური მუშაკის დასკვნა/რეკომენდაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

2020 წლის 23 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში, ი.ჭავჭავაძის გამზირზე სამართალდამცავ ორგანოს წარმომადგენლებმა იპოვეს მარტოხელა ხანდაზმული დარეჯან ხურციძე (დაბ.27.08.1957წ. პ/ნ 60001024136; რეგისტრაციის მისამართი: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N48/16). ქ–ნ დარეჯანის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ქირით ცხოვრობდა ქ. თბილისში (აფრიკის უბანში) . ის ჩამოვიდა რძალთან, მზია ხურციძესთან მისამართზე: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N48/16. საცხოვრებელი დაკეტილი დახვდა. მზია ხურციძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. გამომდინარე აქედან ხანდაზმული აღმოჩნდა ქუჩაში. მისი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გათვალისწინებით დროებით გადაყვანილი იქნა კერძო მოხუცთა სახლ ,,იმერეთი"–ში.

2020 წლის 29 ოქტომბერს, დარეჯან ხურციძემ განცხადებით მომართა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს და ითხოვა ხანდაზმულთა პანსიონატში ჩარიცხვა.

დარეჯან ხურციძე არის სმენადაქვეითებული, ის ვერ მეტყველებს, მასთან კომუნიკაცია ხდება წერილობით. რაც შეეხება სხვა სახის ჯანმრთელობის პრობლემებს, ინფორმაციას ვერ ვფლობთ, რადგან მაძიებელი სამედიცინო აღრიცხვაზე იმყოფებოდა ქ. თბილისში. ის თავდაპირველად უარს აცხადებდა თბილისის სამედიცინო ცენტრიდან მოხსნაზე და ქ. ქუთაისის N1 პირველად ჯანდაცვის ცენტრში დარეგისტრირებაზე. მოგვიანებით მან აღნიშნულთან დაკავშირებით თანხმობა განაცხადა, რაზედაც მიმდინარეობს მუშაობა. ინფორმაცია მაძიებლის შშმ სტატუსის შესახებ უცნობია, აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა წერილობითი მიმართვა სოციალური მომსახურების სააგენტოს ისან–სამგორის რაიონულ ცენტრისადმი.

დარეჯან ხურციძის ახლობლების ადგილსამყოფელის დადგენის და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოკვლევის მიზნით წერილობით (N07-18-29663; 07-18-29397) მივმართე

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სამსხურს და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის იმერეთის სამოქალაქო რეესტრს. საპასუხო წერილებით (N50156; N51269; N48606) ირკვევა, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული პროგრამის მონაცემებით დარეჯან ხურციძის (პ/ნ 60001024136) საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის. ასევე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო აქტების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ინფორმაციის თანახმად, დღეის მდგომარეობით არ იძებნება დარეჯან ხურციძის (პ/ნ 60001024136) მიმართ რეგისტრირებული ქორწინების აქტის ჩანაწერი, ასევე არ ფიქირდება დედად დაბადების სააქტო ჩანაწერებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქ–ნ დარეჯანის მიერ მოწოდებული ინფრომაციით ჰყავს შვილი, ჟუჟუნა ხურციძე (პ/ნ 60001104141), რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განმეორებით განხორციელდა წერილობითი (N07-18-31089) მიმართვა სამოქალაქო რეესტრის სამსახურისადმი. საპასუხო წერილით ირკვევა, რომ მოქალაქე ჟუჟუნა ხურციძის პ/ნ60001104141, დაბადების ადგილი არის ყაზახეთი. შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, დღევანდელი მდგომარეობით, მოქალაქე ჟუჟუნა ხურციძის, დაბადების აქტის ჩანაწერი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოქალაქის მშობლების იდენტიფიცირება, არ იძებნება.

დარეჯან ხურციძე დღემდე იმყოფება კერძო მოხუცთა სახლ ,,იმერეთი"–ში. მწვავე კრიზისის გათვალისწინებით, მისთვის ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, რათა შეძლოს კერძო მოხუცთა სახლ ,,იმერეთი"–ს მომსახურების ანაზღაურების დაფარვა, წერილობითი მიმართვა განხორციელდა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ქალაქ ქუთაისის მერიის მიმართ.

დარეჯან ხურციძე არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დარეჯან ხურციძე მარტოხელა ხანდაზმულია, არ ჰყავს თანადგომის ქსელი, ამავდროულად არა აქვს საცხოვრებელი და საფრთხე ექმნება მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, მიზანშეწონილია გადაუდებელი წესით ჩაირიცხოს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში.

იმერეთის რეგიონული ცენტრის სოციალური მუშაკი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ბრეგვაძე